საცხოვრებელ კომპლექსში შემავალი სასტუმროსა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განსათავსებელ ტერიტორიათა გარემოს ისტორიული კვლევა.

საცხოვრებელ კომპლექსში შემავალი სასტუმროს განსათავსებელი ტერიტორია მდებარეობს სოლოლაკის ქედის პლატოზე, მაყაშვილის აღმართისა და კოჯრის გზის შეყრის კუთხიდან აღმოსავლეთით. ეს გახლავთ სოლოლაკის ხეივნის ვიწრო პლატოს დასაწყისი სამხრეთი განაპირა ნაწილი. ტერიტორია სამხრეთით გადაჭყურებს წავკისის წყლის ხეობას და ხეობაში მდებარე ბოტანიკური ბაღის ნაწილს, ხოლო მოპირდაპირე ჩრთილოეთ მხარეს პლატოს კიდეზე მდებარე ტერასიდან კი იშლება ქალაქის პანორამა.

სოლოლაკის ხეივნის გასწვრივ, კვლევის ობიექტიდან აღმოსავლეთი მიმართულებით, პლატოს სამხრეთ ნაპირზე თანმიმდევრულად, გარკვეული ინტერვალებითაა განლაგებული ერთსართულიანი აგურის შენობა, შაჰტახტის ბასტიონი, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, აგურის მცირე მოცულობის ნაგებობათა კომპლექსი, რომლის მოპირდაპირე მხარეს, პლატოს ჩრდილოეთ ნაპირზე დგას მონუმენტური ქანდაკება „ქართლის დედა“. აღმოსავლეთი მხრიდან ტერიტორია ესაზღვრება საცხოვრებელი კომპლექსის მშენებარე დომინანტურ შენობას. კომლექსის ტერიტორიის საზღვრებში პლატოს ჩრდილოეთ კიდეს გრძივად გასდევს ტერასა, რომლის ქვეშ მოწყობილია სოლოლაკის ხეივანში მიმავალი გზა.

ზემოჩამოთვლილი ობიექტებიდან განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობისაა შაჰტახტის ბასტიონი. იგი საკვლევი ტერიტორიიდან დაახლოებით 300 მეტრითაა დაცილებული. როგორც ცნობილია XVIIIს. 30-იან წლებში ბატონიშვილი ვახუშტი თბილისის შემადგენელ ოთხ უბანს ასახელებს. ესენია: კალა, ტფილისი ანუ სეიდაბადი, ისნი ანუ ისანი (რომელსაც უკვე ავლაბარსაც უწოდებენ) და გარეთუბანი. ბატონიშვილი ვახუშტის მიერ 1735წ. შედგენილი გეგმის მიხედვით თბილისის ძირითად ნაწილს –კალას ჩრდილოეთი დასავლეთი მხრიდან გარს ერტყა გარეთუბანი. გარეთუბანსა და კალას სამხრეთი მხრიდან საზღვრავდა სალალაკის ქედის ჩრდილოეთი ციცაბო ფერდი. საკვლევი ტერიტორია სწორედ გარეთუბნის სამხრეთი საზღვრის ნაწილს წარმოადგენდა. სალალაკის ქედის თხემს ქალაქის სამხრეთი გალავანი მიუყვებოდა. იგი ქედის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ციხე-სიმაგრის კომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაგებობიდან ე.წ. სტამბოლის კოშკიდან იღებდა სათავეს და დღევანდელი სალალაკის ხეივნის ტერიტორიას კოშკებით გამაგრებულ მართკუთხა ციხე-სიმაგრემდე – შაჰტახტამდე გასდევდა, შემდეგ მკვეთრად უხვევდა ჩრდილოეთ ციცაბო ფერდობზე დღევანდელი დადიანის ქუჩის მიმართულებით. ამდენად შაჰტახტი ქალაქის სამხრეთი და დასავლეთი გალავნების შესაყართან იყო აგებული და დასავლეთი მხრიდან ქალაქის განაპირა ფორტს წარმოადგენდა. არსებობს ვარაუდი, რომ არაბების ბატონობის პერიოდში, როცა თბილისი ცალკე საამიროდ ჩამოყალიბდა (IXს), შაჰტახტში ობსერვატორია იქნა დაარსებული. გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პლატონ იოსელიანის ცნობით აქ 1837 წლამდე მეტეოროლოგიური და მაგნიტური ობსერვატორია იყო მოწყობილი. დღეს მხოლოდ შაჰტახტისა და გალავნის ძლიერ დაზიანებული ნაწილებია შემორჩენილი.

მაჰტახტის ახლოს აღმოსავლეთ მხარეს ხეივნის სამხრეთ ნაპირზე მდებარეობს თანამედროვე საცხოვრისი.

XX ს. დასაწყისში, კერძოდ 1909წ. სალალაკის პლატოზე აგებულ იქნა აგურის მცირე მოცულობის რამდენიმე ნაგებობა. ეს ე.წ. კომპლექსი ბოტანიკურ ბაღს ეკუთვნოდა. აქ ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, ჰერბარიუმი და მუზეუმი. შემდგომში ერთ-ერთ შენობაში განთავსდა ი. გრიშაშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. დღესდღეობით შენობა, რომელიც საკვლევი ტერიტორიიდან 100 მეტრითაა დაცილებული საცხოვრისადაა გამოყენებული, ხოლო აღმოსავლეთით დაახლოებით 600 მეტრში მდებარე ზემოხსენებულ ნაგებობათა კომპლექსიდან ნაწილი თითქმის დანგრეულია, ნაწილში კი ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი ფუნქციონირებს.

1935წ. სოლოლაკის პლატოზე გაიხსნა კომკავშირის ხეივანი (დღეს სოლოლაკის ხეივანი), რომლის გაშენებამდე ეს ადგილი სრულიად მოტიტვლებული ყოფილა. 1958წ. პლატოს განაპირა ჩრდილოეთ ტერასაზე დაიდგა მონუმენტური ქანდაკება „ქართლის დედა“ (მოქანდაკე ელ. ამაშუკელი), რომელიც კვლევის ობიექტიდან დაახლოებით 500 მეტრითაა დაცილებული.

როგორც უკვე აღინიშნა საკვლევი ტერიტორიიდან ხედი იშლება წავკისის ხეობაში სოლოლოლაკის ქედის სამხრეთ ციცაბო კლდოვანი ფერდობის ძირში მდებარე ბოტანიკურ ბაღზე. სოლოლაკის ქედის სამხრეთით ბატონიშვილი ვახუშტი აღნიშნავს ე.წ. ციხის ბაღებს, რომლებიც პიშჩევიჩის 1785წ. და კაპიტან ჩუიკოს 1800წ. გეგმებზეცაა აღნიშნული. სწორედ აქ პლ. იოსელიანის ცნობით XVIს. ქართველი მეფეების სასახლე მდგარა, გარშემორტყმული დეკორაციული პარკითა და სასახლის ბაღით. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ამ ადგილს სახაზინო ბაღი ეწოდა, ხოლო 1845წ. ბოტანიკური ბაღი. დღეს აქ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სახელმწიფო ბოტანიკური ბაღია. მასში ერთ-ერთი შესასვლელი ლ. ასათიანის ქუჩის მიღმა სოლოლაკის ქედში გაჭრილი გვირაბის საშუალებითაა მოწყობილი. გვირაბის გაჭრის იდეა ინჟინერ-პოლკოვნიკ ვეისენგორფმა ჯერ კიდევ XIXს. 70-იანი წწ. წამოაყენა, თუმცა სამუშაოები გაცილებით გვიან საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დასრულდა. ვახუშტი ბატონიშვილის გეგმაზე აღნიშნულია წავკისის წყალზე გადებული, ციხის ბაღებიდან და მაჰტახტის ღერძიდან დასავლეთით მდებარე ე.წ. ოქოანთ ხიდი. წარსულში იგი ქალაქის გალავანში დატანებული განჯის კარიდან კოჯრისკენ მიმავალ გზაზე იდგა. თაღოვანი ხიდი ერთმალიანია, ნაგებია ბრტყელი ქართული აგურით და ქვის წყობით კირის დუღაბზე.

ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის მოპირდაპირე მხარეს არსებული ტერასიდან ახლო პერსპექტივაში აღიქმება სოლოლაკის ქედის ჩრდილოეთ ფერდობის ძირში მდებარე განაშენიანება. როგორც ცნობილია გვიანფეოდალურ თბილისში ბატონიშვილი ვახუშტის გეგმის მიხედვით აქ მდებარეობდა ბაღები. კერძოდ თბილელის ბაღი დაახლოებით დღევანდელი ქიქოძისა და სოლოლაკის ქუჩების გადაკვეთაზე, აგრეთვე მეფის დის, დედოფლის, მამასახლისის ბაღები დღევანდელი ლერმონტოვის ქუჩის მიდამოებში. სოლოლაკის ფერდობზე დაახლოებით დღევანდელი ქიქოძის ქუჩის ღერძზე, ლ. ასათიანის ქუჩის მიღმა ბატონიშვილ ვახუშტის აღნიშნული აქვს ე.წ. ამარათი, რომელიც პიშჩევიჩის 1785წ. გეგმაზეცაა ნაჩვენები. პიშჩევიჩის გეგმის ექსპლიკაციაში იგი მოხსენიებულია, როგორც

„ნანგრევები საქართველოს მეფის ძველი რეზიდენციისა“. XIXს. მიწურულს ახალმა უბნებმა ზემოხსენებული ბაღების ადგილები დაიკავა. ამ პერიოდში ჩამოყალიბებული განაშენიანების სტრუქტურა დღესაც შენარჩუნებულია, რაც მკაფიოდ აღიქმება სოლოლაკის ხეივნის ჩრდილოეთი ბაქნებიდან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საცხოვრებელი კომპლექსის 200მ. სიგრძის ტერიტორია და მასში შემავალი სასტუმროს განსათავსებელი ადგილი უშუალოდ არ შეიცავს რაიმე ისტორიული მნიშვნელობის ძეგლს (როგორც აღინიშნა საკვლევ ობიექტთან ყველაზე ახლომდებარე ისტორიული ძეგლი შაჰტახტი კომპლექსის ტერიტორიიდან დაახლოებით 300 მეტრითაა დაცილებული), თუმცა მას გარს აკრავს ქალაქის მნიშვნელოვანი ისტორიული ნაწილი.

დღეს მოქმედ დებულებათა საფუძველზე (საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1985წ. 29 იანვრის N76 დადგენილებანი, დანართები N1 და N3) ზემოაღნიშნული ტერიტორია ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილისა და ლანდშაფტის დაცვის ზონებში მდებარეობს.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განსათავსებელი ტერიტორია მდებარეობს ე.წ. კოჯრის ჩიხის ბოლოს, სოლოლაკის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, სადაც აქა-იქ ტერასულადაა შეფენილი მცირე მოცულობის (1-2სართულიანი) შენობები. მას ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით ესაზღვრება ერთ და ორსართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. ერთი ნახევრად დანგრეულია. საკვლევი ტერიტორიის ჩრდილოეთით წამოზიდულია მთაწმინდის სამხრეთი კალთა მის კეხზე მდგარი ტელეანძითა და მთის ძირში შეფენილი განაშენიანებით (XIX-XX სს.), ხოლო აღმოსავლეთით, როგორც წინა შემთხვევაში, ხედი იხსნება თბილისის ისტორიულ ნაწილზე. ახლო პერსპექტივაში აღიქმება ამაღლების ქუჩა და მისი მიმდებარე ტერიტორია. ვახუშტი ბატონიშვილის გეგმაზე ამაღლების (ყოფილი დავითაშვილის) ქუჩის ადგილას სალალაკის წყალია მოხსენიებული, რომელიც ადრე ავანაანთ ხევის სახელით იყო ცნობილი. XIXს. II ნახევრიდან მას და მის მიმდებარე ტერიტორიას საბოლოოდ შეერქვა სალალაკის ხევი. სწორედ სალალაკის ხევის გადახურვის შემდეგ დაიწყო სოლოლაკის უბნის ინტენსიური განაშენიანება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე საკვლევი ტერიტორია არ შეიცავს რაიმე მნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლს. იგი არ მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვის ზონაში (საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1985წ. 29 იანვრის N76 დადგენილება, დანართი N1), თუმცა ქალაქ თბილისის ლანდშაფტის დაცვის ზონის დებულების საფუძველზე (საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1985წ. 29 იანვრის N76 დადგენილება, დანართი N3) ქალაქის ლანდშაფტის დაცვის ზონაშია მოქცეული.

არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არქიტექტურის ინსტიტუტის ხელოვნების
ისტორიისა და თეორიის კათედრის
დოცენტი მ. ძიძიგური

ლიტერატურა

ვ. ბერიძე. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები, თბ.: საბჭოთა საქართველო, ტ. I. 1960. ტ. II 1963.

თ. ბერიძე. და აღმოცენდა თბილისი, თბ.: ნაკადული, 1977.

დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე. თბილისის ისტორია, თბ. 1958.

ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1973წ.

Иоселиани Пл . Описание древностей города Тифлиса .Тифлис, 1866

Джанберидзе Н., Карбелашвили М., Кинцурашвили С . Архитектура Тбилиси, путеводитель. Тб.: Сабчота Сакартвело, 1967.

თ. კვირკველია. ძველთბილისური დასახელებანი. თბ.: საბჭოთა საქართველო, 1985.